საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეPARTამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

საქართველოს პარლამენტი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

8 Rustaveli Avenue, 0118, Tbilisi, Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 13
„24“ „02“ 2025 წ.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია - „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-3/27; 19.02.2025) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს პარლამენტის ფრაქცია - „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (№07-3/27; 19.02.2025) და აღნიშნავს შემდეგს:

საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონის პროექტის სტრუქტურა არ შეესაბამება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით დადგენილ ფორმას. გარდა ამისა, კანონის პროექტი შეიცავს მთელ რიგ სამართლებრივ და შინაარსობრივ უზუსტობებს. კერძოდ, კანონის პროექტი ითვალისწინებს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას, რომლებიც არსებითად განსხვავებულია საქართველოს სამართლებრივი სისტემისაგან. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კანონის პროექტში მოხსენიებული ორგანოები/პირები (მაგალითად: „კონგრესი“, „კონგრესის ბიბლიოთეკა“, „სახელმწიფო დეპარტამენტი“, „იუსტიციის დეპარტამენტი“, „ხაზინის მდივანი“, „ფოსტის გენერალური დირექტორი“, „შტატების პრეზიდენტი“ და ა. შ.), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთი ფორმით არ არსებობს. თავის მხრივ, დაზუსტებას საჭიროებს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელი ორგანო/უწყება ან თანამდებობის პირი განახორციელებს წარმოდგენილ კანონის პროექტში აღნიშნულ უფლებამოსილებებს. ეს გარემოება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოს/უწყების ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების დამდგენ აქტებში სათანადო ცვლილებების ასახვისა

და საკანონმდებლო პაკეტის საქართველოს რიგ საკანონმდებლო აქტებთან (მაგალითად: „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და ა. შ.) შესაბამისობის აუცილებლობას. საყურადღებოა ისიც, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებული ურთიერთობების მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის სახით უკვე არსებობს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში. შესაბამისად, თუ ინიციატორის განზრახვაა არსებული კანონით რეგულირებული ურთიერთობების ახალი კანონის დებულებებით შეცვლა, მიზანშეწონილია, წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტს თან ახლდეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე კანონის პროექტიც. ამასთანავე, კანონის პროექტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები განსაზღვრულია ამერიკული დოლარით (და არა ეროვნული ვალუტით – ლარით), რაც ასევე საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი ფორმით ჰარმონიზებას.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების ამსახველი კანონების პროექტები წარმოდგენილ ინიციატივას თან არ ახლავს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს პროექტი იმ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელში ცვლილების შეტანასაც იწვევს კანონპროექტი, და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. შესაბამისად, კანონის პროექტიდან გამომდინარე კანონპროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს საკანონმდებლო ინიციატივასთან ერთად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს პარლამენტის ბიუროს, იმსჯელოს ზემოხსენებული კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების მიზანშეწონილობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი